წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 7 აპრილი, 1921 წ.

№ 30 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ამით აუწყებს ს. ს. ს. რ. ყველა სახალხო კომისრებს და აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს, რომ ცენტრალურ კომიტეტის და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტების მიერ სამსახურისათვის გაგზავნილნი პარტიის წევრნი და კანდიდატნი უნდა მიღებულ იქმნენ სამსახურში იმავე დღეს. წევრთა და კანდიდატთა მიღება დაწესებულების გამგეთა ან პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მიერ, უნდა სწარმოებდეს ყოველ რიგს გარეშე.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი: ლ. დუმბაძე.
საორგ.—საინსტ. განყოფილების გამგე დონენკო.

ამხ. კიროვის მოხსენება

დღეს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე

სახელმწიფო ოპერის თეატრში

ამხ. კიროვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

1) მე-10 სიეზდი რუსეთის კომპარტიისა.
2) კრონშტადტის ამბები.

შესვლა შეუძლიათ მხოლოთ კომპარტიის და პროფკავშირის წევრებს დასწრება სავალდებულოა.

ცეკას სააგიტაციო საპროპ. განყოფილება.

კონტრ-რევოლიუციონერები სოფლად.

ყოფილი მენშევიკური მთავრობის დამარცხების შემდეგ უსაქმოდ დარჩენილი აგენტები და მათი დამხმარე ნაძირალები არ აკლებენ თავის ყურადღებას სოფლებსაც. მათ კარგათ აქვთ გაზომილი მთელი სიძლიერე იმ სამხედრო და პოლიტიკური დამარცხებისა, რომელიც განიცადეს საბჭოთა წყობილების შემოსაღებად ამდგარ ხალხთან ბრძოლაში. ფართო მასების წარმოდგენაში, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, ღრმად და ბასრათ შეჰქრა რწმენა იმის შესახებ, რომ მენშევიკების მიერ გავრცელებული ხმები მოსულ და ადგილობრივ ბოლშევიკების შესახებ, მათ სიმხეცეზე, მათ ჯალათობაზე და რუსიფიკატორობაზე, არის ერთი დიდი ცილისწამება, შეთხზული გარკვეული მიზნით, რომ მას არავითარი ნიადაგი არა აქვს. დემაგოგია იმზომ ფართოთ იყო გავრცელებული და ისე უნამუსოთ შეთხზული, ხოლო „შემოსული“ რუსიფიკატორების და აქ დამხდურების ყოფაქცევა კი აღმოჩდა ისეთ კონტრასტათ გავრცელებულ ხმებთან, რომ ამ ფაქტის ფსიქოლოგიურმა ეფექტმა დასცა სრულიათ მენშევიკური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკური გავლენა ფართო მასებში და მის სამხედრო კატასტროფას მიუმატა მორალურიც. ასე სასტიკათ დამარცხებულნი, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ დღეს როგორმე მობოჭონ და შეაგროვონ ხელახლა გაბნეული და გამდნარი პარტიული კაპიტალი. მარა ვინაიდან ასეთი ცდის გამოსავალ წერტილათ არ შეიძლება იყოს მათი პოლიტიკური გავლენა, რომელიც ძირიან-ბუდიანათ შერყეული და მოშლილი შეიქნა, ამიტომ ცდილობენ ისინი მოახდინონ სპეკულიაცია ხალხის უკმაყოფილებაზე ახალი მთავრობით და ამ მიზნით სოფლათ დაგზავნილ ბნელი პირების საშუალებით სცდილობენ ყოველგვარი სიძნელე შეუქმნან მას სოფლელების ფართო მასებში.

ისინი ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ ბოლშევიკური მთავრობა არ შეარჩენს ხალხს სარჩო-საბადებელს, რომ მძიმე შრომით მონაგარი მისი ჭირნახული ჩამოერთმევა გლეხკაცობას, რომ ახალი მთავრობა კერძოთ, მაგალითად, მევენახეობას სთვლის მავნებელ საქმეთ და ამიტომ გაანადგურებს ამდენი ხნის ნაშრომ ნამუშევარ ვენახებს და სხვა.

ახალი დემაგოგიის მიზანი ნათელია: მათ სურთ თესვის კამპანია, რომელიც ტარდება მეტად ძნელ პირობებში, ისიც ასე გვიან, სპეციალური კომისიის მიერ ადგილობრივი ადმინისტრატიული ორგანოების და ჩვენი პარტიის დახმარებით, შეფერხდეს, მიწა ნაკლები და გვიან მოიხნას, ვენახები არ დამუშავდეს და ამნაირათ ხელოვნურათ შექმნან მოუსავლობა, სასურსათო კრიზისი, გამოიწვიონ შიმშილი და ამ ნიადაგზე აღმოცენებული შესაძლებელი დრტვინვა გამოიყენონ რევოლიუციონური მთავრობის წინაალმდეგ ხალხის ასამოძრავებლათ. ის, რაც მათ ვერ მოახერხეს მილიტარული ძალებით, თავის პოლიტიკური გავლენით — სცდილობენ განახორციელონ სხვა, და შექმნილ მდგომარეობაში ერთათ ერთი გზით. ასეთია მათი კონტრრევოლიუციონური ზრახვები, რომლითაც ისინი იმეორებენ თავის რუსეთელ და ევროპიელ კონტ-რევოლიუციონერების ხრიკებს უსურსათობისა და სიმშილის ნიადაგზე ხალხის ასამოძრავებლად საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ, როგორც ამის სულ უკანასკნელი მაგალითი მოგვცა უკვე ჩაქრობილმა კრონშტატის აჯანყებამ.

ასეთი ხალხი, გამსჭვალული შეგნებული ზიზღით და სიძულვილით და გლეხთა მუშათა მთავრობის წინაალმდეგ, რომელიც არ მალავს და ვერც მალავს თავის გარკვეულ დამოკიდებულებას ამ მთავრობასთან, რომელიც მიზნათ ისახავს მის დამხობას კონტრ რევოლიუციის გზით— ასეთი ხალხი, ვამბობთ, ჰბედავს დღეს როგორც ჩვენ გადმოგვცემენ, სიტყვა ჩამოაგდოს თავის პარტიის ლეგალიზაციის შესახებ საქართველოში.

ჩვენ გამოვთქვამთ ურყევ ნებისყოფას რევოლიუციონური მუშა-გლეხკაცობისას, რომელმაც არა ერთხელ იგემა მენშევიკური ჯალათობა, რომ სულ მოკლე ხანში დასასრული მიეცემა ჩვენებური კონტრ-რევოლიუციონერების „უაზრო ოცნებებს“.

მენშევიკების საქმიანობა

IV

დამოუკიდებლობა.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეწეოდა. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, შინაგანი და საერთაშორისო ვითარებით დასუსტებული, იგი ნებაყოფლობით შეუერთდება მეზობელ რუსეთს, შეუკავშირდება უნიის საფუძველზე. მაგრამ მეფურმა თვითმპყრობელობამ ქართველი ხალხის უფლებანი ფეხქვეშ გასთელა, მოსპო მისი სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ უბრალო პროვინციად, ახალშენად აქცია; სადაც ადგილობრივ კულტურას სასტიკად დაუწყო დევნა და რუსიფიკაციას ფართო მასშტაბით ატარებდა.

მოსალოდნელი და ბუნებრივი იყო, რომ მიმდინარე რევოლიუციის პროცესში ქართველ ხალხს, როგორც სხვა დამონებულ ერებსაც, სრული თავისუფლება მიენიჭებოდა. საამისო უფლება და შეძლება ჰქონდა ჩვენს ხალხს. წარსულის გამოცდილება, საკმაოდ მდიდარი კულტურა, ხალხის შეგნების შედარებით მაღალი დონე, განსაზღრული ტერიტორია და ბევრი სხვა რამ ხელსაყრელი პირობებს ჰქმნიდნენ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებისათვის. მაგრამ ის ჯგუფი, რომელიც თავიდანვე რევოლიუციას მოექცა სათავეში, სულ სხვანაირად ფიქრობდა. მენშევიკების, ესერების და კადეტებისაგან შემდგარი კოალიცია ეროვნულ იდეას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და „სისხლით და რკინით“ ემუქრებოდა ყველა იმ ერს, რომელიც თავისუფლებებზე ხმის ამოღებას გაბედავდა.

დაჩაგრულ ერების წინაამდეგ მიმართულ ამ გალაშქრებაში ქართველი მენშევიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც კაიხანია ეროვნულ საკითხის რადიკალურ გადაჭრისათვის იბრძოდა, და მისი მეთაურობით მომხდარმა ოქტომბრის რევოლიუციამ მიანიჭა ერებს თვითგამორკვევის სრული უფლება, შესაძლებლობა მისცა მოეწყო თავიანთი ბედი ისე, როგორც ეს მათთვის სასურველი და სასარგებლო იქნებოდა. და აი აქ, ქართველმა მენშევიკებმა, რომელთაც აქამდი სრულიად არ სწამდათ ეროვნების სიმართლე და ძალა, უცბად თითქო ფრონტი იბრუნეს და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ძირითადი მოტივი მენშევიკების ასეთი უჩვეულო მეტამორფოზისა იყო არა ნაციონალური ხასიათისა, არამედ პარტიულ და სოციალურ შინაარსისა. ოქტომბრის რევოლიუცია, როგორც წმინდა სოციალისტურ-პროლეტარული თავისი მიზნებით და ფორმებით, მენშევიკების ჰეგემონიას სპობდა და მათი წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიას და საქმიანობას ნიადაგს აცლიდა. რუსეთში სასტიკად დამარცხებულნი, აქ შემოაფარეს თავი და საქართველოს საზღვრებში ცდილობდნენ თავიანთი პარტიული ბატონობის შენარჩუნებას და „დემოკრატიულ“ პროგრამის გატარებას. ამისათვის საუკეთესო საშუალებად მიიჩნიეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ნაციონალურ დროშაზე ამოფარება. პირველ ხანებში, როდესაც ჯერ კიდევ ეგონათ, რომ ბოლშევიზმი ჩქარა დაეცემოდა და უწინდელი მდგომარეობა აღდგენილი იქნებოდა, მენშევიკები არ მალავდნენ თავის შეხედულებას და გადადგმულ ნაბიჯს სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ ხერხს ეძახდნენ: ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრება, სუვერენობა დროებითი მოვლენაა, დამარცხდება ბოლშევიზმი, გაიმარჯვებენ „დემოკრატიული“ ძალები, და ჩვენც ამ სახელმწიფოებრივობას გავაუქმებთო. მაგრამ შემდეგ, როდესაც მათი დიაგნოზი ბოლშევიზმის შესახებ არ გამართლდა, შეუდგნენ ნაციონალურ სახელმწიფოს შენებას, უკვე არა როგორც წარმავალს, არამედ მუდმივ საქმეს. მიზანი ისევ ძველი დარჩა: არა ქართველი ხალხის სუვერენობის, როგორც თვით ღირებულების, დაცვა, არამედ საქართველოს სახელმწიფოს საშუალებით თავიანთი ჰეგემონიის შენარჩუნება და თავის გადარჩენა ბოლშევიზმისაგან, როგორც სოციალურ კატეგორიისაგან, ვინაიდან ცხადია, რომ **ბოლშევიზმი ემუქრებოდა არა ხალხის სუვერენობას, არამედ მენშევიკების ბატონობას.** და რადგანაც დღეს არსებობს მხოლოდ ორი მთავარი ძალა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მწარმოებელი: კომუნიზმი სოციალისტური რევოლიუციის ლოზუნგით საბჭოთა რუსეთის მეთაურობით და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიული მსოფლიო, რომელიც არსებულ კაპიტალისტურ ურთი-ერთობას ებღაუჭება, ანტანტას მეთაურობით,—მენშევიკებმა, როგორც კომუნიზმის მოწინააღმდეგე ძალამ, სოციალისტური ორიენტაცია უარყვეს და კაპიტალისტურ ქვეყნების გავლენის წრეში მოექცნენ. მდგომარეობის განსამტკიცებლად საჭირო იყო ევროპის სახელმწიფოების ყურადღების დამსახურება და მათი ხელმძღვანელის, ანტანტას მიერ, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. ანტანტა კი იცნობდა საქართველოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა იმპერიალისტური მიზნებისათვის და, შემდეგ, თუ მენშევიკური მთავრობა შიგნით ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ წყობილებას დაამყარებდა. ასეც მოხდა. შიგნით მენშევიკები წმინდა ბურჟუაზიულ პოლიტიკას აწარმოებდნენ და სასტიკად დევნიდნენ სოციალისტურ მოძრაობას, ხოლო საგარეო დამოკიდებულებაში ხელს უმართავდნენ ანტიბოლშევიკურ ძალებს, რომელთაც საქართველო სამოქმედო ბაზად გაიხადეს. ყოფ. ს. ს. მინისტრის გეგეჭკორის განცხადება გენ. ალექსეევთან, რომ, ორივენი—მენშევიკები და ალექსეევი სცემენ ერთ წერტილში, ე. ი. ბოლშევიკებს, სხვადასხვა „ხსნის კომიტეტების“ ორგანიზაცია თბილისში, რომელთა მიზანი იყო აჯანყების გამოწვევა კავკასიის ქვეყნებში და ბოლშევიკების ჩამოგდება, და მრ. სხვა ფაქტები მოწმობენ, რომ მენშევიკების შემწეობით და მონაწილეობით საქართველოში იბმებოდა ქსელი და მზადდებოდა დიდი კომპანია ბოლშევიკების წინააღმდეგ. მხოლოდ ამ შემთხვევაში, როდესაც მენშევიკური საქართველო გახდა ანტანტას ხელში სათამაშო იარაღად, მოხდა ჩვენი ქვეყნის ფაქტიური და იურიდიული „ცნობა“. საჭირო არა გავიხსენოთ ამ „ცნობასთან“ დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტები. შარშან, როდესაც წითელმა არმიამ დენიკინზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ჩვენ საზღვრებს დაუახლოვდა, ანტანტამ მაშინ გამოიღო „წყალობა“ და საქართველო „დეფაქტოდ“ აღიარა. არა ქართველი ერის პატივისცემა ამოძრავებდა ანტანტას, არამედ შიში, რომ წითელი არმია კავკასიის გზით აღმოსავლეთში შეიჭრებოდა და მის საარსებო ბაზას დაემუქრებოდა. მენშევიკების გულის მოგება კი საჭირო იყო, რომ ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოეყენებია. ანალოგიურ პირობებში მოხდა იურიდიული „ცნობაც“. საბჭოთა ხელის უფლება გამოცხადდა აზერბეიჯანში, სომხეთში. მარტო საქართველო დარჩა ანტანტის გავლენის სფეროში. მისი წაქეზება „დე-იურე“ს ცნობით გამოადგებოდათ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამნაირად, საქართველოს „ცნობა“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბოლშევიკების ძლევა-მოსილ მსვლელობასთან. მენშევიკები კი მთელ ქვეყანას აყრუებდენ, ჩვენ ისეთები ვართ, რომ ევროპამ დაგვაფასა და იძულებული გახდა ეცნო საქართველოს „დამოუკიდებლობაო. არსებითად კი რა ნაირი იყო ეს ცნობა და რა ფასი ჰქონდა მას, ამაზე არაფერს ლაპარაკობდენ. რასაკვირველია, დამოუკიდებლობა მხოლოდ ნომინალური იყო, ფაქტიურად კი მენშევიკები ანტანტას აგენტების კარნახით მოქმედებდნენ. მოვიგონოთ ერთი წვრილმანი, მაგრამ მეტად დამახასიათებელი ფაქტი. ყოფ. მთავრობის მეთაურს, ჟორდანიას შეუთვლია ამხ. ს. ორჯონიკიძისათვის 18 წელში, თბილისში, აშკარად ნუ დადიხარ, ჩვენ არ დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან რომ კომუნისტი ხარ და დაგიჭერენო. „დამოუკიდებელი“ საქართველოს დედა ქალაქში უცხოელებს შეძლებიათ მოქალაქის დაპატიმრება. დამოუკიდებლობაც ასეთი უნდა! ხოლო, თუ რა ფასი ჰქონდა ანტანტის მიერ საქართველოს ცნობას, მენშევიკებმა ეს, ალბად ეხლა მაინც შეიგნეს, როდესაც გაჭირვების დროს, მან თავის ერთგულ მსახურებს ერთი ჯარის-კაციც ვერ დაახმარა. ეს არც შეეძლო. მენშევიკები მწარედ შეცდენ მსოფლიო ძალთა შეფასებაში. მათ ვერ შეიგნეს, რომ კაპიტალისტური ქვეყანა, სასიკვდილოდ განწირული ქვეყანაა, რომელსაც ნიადაგი და ძალა დღით-დღე ეცლება, ხოლო კომუნიზმი თანდათან ძლიერდება და თავის გარშემო იკრებს მთელი ქვეყნიერების მშრომელ მასსებს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მენშევიკების ეს ღალატი რევოლიუციისადმი ძვირად დაუჯდა ქართველ მუშათა კლასს. მაგრამ ამ მძიმე გაკვეთილს მისთვის უქმად არ ჩაუვლია: იგი გამოერკვია და საბოლოოდ დაადგა რევოლიუციის გზას, რომელი გზაც არის არა მარტო შრომის, არამედ დაჩაგრულ ერების ჭეშმარიტი განმანთავისუფლებელიც. მენშევიკებთან ერთად მოკვდა ფიქტიურად თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო და იშვა საქართველო, როგორც მშრომელთა სახელმწიფო, ნამდვილად დამოუკიდებელი და სუვერენული.

კან.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს“ შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

დღეს ნომერში:

საქართ. რევკომის დეკრეტები: სოციალურ უზრუნველყოფისა და მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაზღვევის შესახებ.

საქარ. რევკომი სომხეთის რევკომს ულოცავს კონტრ-რევოლიუციონურ ავანტიურისტებზე გამარჯვებას.

ინგლისის საგ. საქმ. სამინისტროს პროვოკაციული ცნობა, პეტროგრადის დაპყრობის შესახებ აჯანყებულთა მიერ.

სავინკოვის მოქმედება რუსეთში აჯანყების მოსაწყობად.

ფინეთში არჩევნების დროს სოციალისტებმა გაიმარჯვეს.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობა

კამათი ამხ. ლენინის მოხსენების გამო.

სოსნოვსკი—ჩემი ყურადღება მიიპყრა იმ გარემოებამ, რომ ამხ. ლენინი თავის მოხსენებაში ასე ვრცლად და დალაგებით შეეხო წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის საფრთხის საკითხს და არაფერი არა სთქვა რა იმის შესახებ, თუ რა ხდება იმ კლასში, რომლის წარმომადგენელიც ჩვენი პარტიაა, რომელიც ხელმძღვანელობს მას და რომლის წრიდანაც იგი გამოვიდა? რას ნიშნავს ეს, რა საზღვრებში უნდა ჩავაყენოთ ეს, რა კავშირი აქვს მას კრიზისთან, რომელსაც განიცდის დღეს სოფელი, რა დამოკიდებულებაშია იგი საბჭოთა და პარტიულ აპარატების საორგანიზაციო ფორმებთან? ამის შესახებ ამხ. ლენინი თითქმის არაფერს გვეუბნება, მაგრამ ჩვენთვის კი, ჩვენი პროლეტარიატის პარტიისათვის ეს წარმოადგენს დიდ საქმეს. მუშათა ოპოზიციის სიტყვებში მე შევნიშნე ბოროტი სიხარული. საჭირო დიდი სიფრთხილით და სერიოზულად მიმოვიხედოთ ჩვენ გარშემო და პასუხი მოვთხოვოთ არა მარტო ცენტრალურ კომიტეტს, არამედ ჩვენ თავსაც. პროლეტარიატის პარტიისათვის და მის მთავრობისათვის საჭიროა, რომ სერიოზულად ჩაუფიქრდეს იმას, თუ როგორ შეაკავშიროს იგი ამნაირ დაქანცულობისა და გამოფიტულობის დროს. ეს საკითხი კონკრეტიულად ასე უნდა დაისვას: ყოველ შემთხვევაში, ყველა გარემოებაში უნდა გავამაგროთ და ფეხზე დავაყენოთ მსხვილ ცენტრების პროლეტარიატი, რომელსაც თვისი ზურგით გამოჰქონდა და უნდა გამოიტანოს მომავალი ტვირთი. და ჩემის აზრით პარტიულ ყრილობამ საჭიროა შეიმუშაოს საერთო კურსი და მეთოდები, თუ როგორ მოხერხდეს, რომ მსხვილ ცენტრების პროლეტარიატი, ამ ჟამად შედარებით გავამაგროთ, ფეხზე დავაყენოთ იგი, მიუხედავად ყოველივე იმ სილატაკისა, რომელსაც განვიცდით დღეს ჩვენ, ვინაიდან წვრილ ბურჟუაზიის წინ დახევა, შესაძლოა უფრო შორსაც წავიდეს და შესაძლოა უფრო ახლოც გაჩერდეს, იმის დამიხედვით თუ რამდენად გამაგრდება ან რამდენად დასუსტდება მსხვილ ცენტრების პროლეტარიატი. აი, სწორედ ამის შესახებ, არც თქვენ და ვერც მე, ცენტრ. კომიტეტის მოხსენებიდან არა გვსმენია რა და პარტიულ საბჭოთა და დაწესებულების პრაქტიკაშიც სტოვებენ ამას უყურადღებოთ. თუ თქვენ შეეკითხებით თქვენს თავს. შეერთებულ საერთაშორისო კაპიტალისა, თავწამოყოფილ ბურჟუაზიულ სტიქიის წინაშე მდგარი თუ რაზე შეუძლიან დაყრდნობა პროლეტარიატის დიქტატურას, რა უნდა გააკეთოს მან, მცირედ მაგრამ მაგარ შეკავშირებულ დასაყრდნობის შესაქმნელად, თქვენ მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა გადასინჯვა მოქმედების მეთოდებისა და პრაქტიკისა არამც თუ მხოლოდ მატერიალურად და მუშათა ყოფა ცხოვრების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ მუშებიც ჩარეულ უნდა იყვნენ გამგეობაში. აქ ხაზი უნდა გავუსვას—ამაზე არ ულაპარაკნიათ—რომ ნამდვილათ შეიქმნა ჩვენ შორის მთელი უფსკრული, განხეთქილება. ამხ. შლიაპნიკოვი და მისი ჯგუფი საფრთხეს ინტელიგენტებში ჰხედავენ. მათ დააწესეს ის პროპორციაც კი, რომლითაც შეიძლება მათი ატანა და გაძლება პარტიაში. მე თუმცა ესეც მიმაჩნია საფრთხედ, მაგრამ დიდი საფრთხე—ეს ისაა, რომ პარტიული ორგანიზაციები გადიქცნენ გლეხურ ორგანიზაციებად. ქ. ეკატერინბურგსა და ურალის სამრეწველო ცენტრში პარტიული ორგანიზაცია გლეხური $^2/_3$-ზე მეტია შემადგენლობით, აი ამ საფრთხის შეგნება მე ვერ დავინახე მოხსენებაში, ვერ ვნახე ეს შეგნება ვერც პარტიულ პრესაში, კერძოთ ვერც „იზვესტიაში“ და სადისკუსიო ფურცლებში—ვერსად. ნამდვილად კი, პროლეტარიატის პარტიამ, იმ მოსაზრებით, რომ დაყრდნობილ იყოს პროლეტარიატზე, თვისი პოლიტიკა უნდა აწარმოოს საერთაშორისო მასშტაბში გლეხთა მიმართაც. საკითხი გლეხებთან დამოკიდებულების შესახებ ჩვენ დავაყენეთ ნატურალურ გადასახადის საკითხის სახით, მაგრამ კარგი იქნებოდა ეს საკითხი ცალკე პუნქტად დაგვესვა, იმ მოხსენებაში მაინც, რომელიც ცენტრალურ კომიტეტმა წარმოადგინა. მეტი დრო დაგვეთმო ამ საკითხისთვის პროლეტარიატის მდგომარეობის შესახებ. არ უნდა ვაწარმოოთ სირაქლემური მხდალი პოლიტიკა, უნდა საკითხი დაიდოს პირდაპირ თვალწინ და მხოლოდ მაშინ ჩვენი პოლიტიკა მომავალში იქნება უფრო თვალნათელი, ვიდრე ამ ჟამად.

მილონოვი—ამხანაგებო, ცენტრალურ კომიტეტის მოღვაწეობისა და მიმართულების გზის საერთო შეფასებაში ჩვენ თითქმის სრულიად ვეთანხმებით ამხ. შლიაპნიკოვს და უფრო კი ამხ. კოლლონტაის. პარტიულ ცხოვრებაში ვამჩნევთ ცენტრის ავტორიტეტულ ხელმძღვანელობის მეთოდების უპირატესობის მიჩნევას მასსათა თვითმოქმედების მეთოდებზე. ეს დაავადებული მოვლენანი ცენტრალურ კომიტეტის ყურადღების გარეშე რჩებიან, საჭიროა კიდევ ალვნიშნოთ, რომ ყველა ეს გარემოებანი, რასაკვირველია, პერსონალური დანაშაულობა არ არის, სუბიექტ ური, ცალკე პიროვნებათა, არამედ ობიექტიური უბედურებაა. ამხ. ლენინმა აქ, ასე კატეგორიულად მუშათა ოპოზიციას მიაკრა იარლიკი სინდიკალიზმისა: ამხ. ლენინი საკითხს აყენებს ასე: გლეხობა განწყობილია წვრილ ბურჟუაზიულად, იგი ჩვენთან ერთად არ არის. მასზე დაყრდნობა ჩვენ არ შეგვიძლიან. მუშათა კლასი წვრილ ბურჟუაზიულ ზედგავლენის ქვეშ ვარდება. აქ საჭიროა ალვნიშნოთ ჩვენი პარტიის განსაზღვრულ ნაწილთა ჩამოშორება მუშათა კლასისაგან. და შემთხვევითი არ გახლავთ ის ღიმილი, რომელიც პირზე აკრავს აქ დამსწრე ამხანაგთა უმრავლესობას, როცა ეუბნები, რომ მუშათა ოპოზიცია ეყრდნობა პარტიის ჯანსაღ მუშათა ელემენტებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშათა ოპოზიციის დაცინვა ჯერ ნაადრევია, რომ ამ ჟამად უნდა ვიწამოთ, რომ პარტია სერიოზულ კრიზისს განიცდის, რომ ამ კრიზისს პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვერ ხედავს, რომ კრიზისს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და გამოვნახოთ ყველა საშუალებანი მის მოსარჩენად.

რიაზანოვი. ცენტრალურ კომიტეტის ერთ უმთავრეს შეცდომას შეადგენს ის, რომ აწარმოებს რა სასტიკ ბრძოლას ოპოზიციასთან, მყნის და ზრდის ისეთ უმგვანო ველურ და უაზრო ფორმის ოპოზიციას რომელიც კი შესაძლებელია წარმოიდგინოს კაცმა კომუნიზმის სარევოლიუციო პარტიაში: მუშათა ოპოზიციის ამხანაგებმა იციან, რომ მე იმ თვალსაზრისზე ვსდგევარ, რომ ჩვენმა პროგრამამ რამოდენიმედ, დაუთმო საფრანგეთისა კი არა, არამედ ამერიკის სინდიკალიზმს და ამ მხრივ შლიაპნიკოვი სრულ ჭეშმარიტებას ამბობს, როდესაც ამტკიცებს, რომ მის შეხედულებას პროფესიონალ[illegible] კავშირებზე საფუძვლად უდევს ჩვენი პროგრამა. მაგრამ ის ისე, როგორც ამხ. კოლონტაი მართალი არ არის, როცა ჩვენ პროგრამას აწერენ მთელ ამ სინდიკალისტურ სისულელეს, რომელსაც ისინი ჩვენ გვთავაზობენ. ეხლა მე მსურს, იმას შემდეგ რაც ეს საფრთხე გიჩვენეთ, გადავიდე იმ ცენტრალურ კომიტეტზე, რომელმაც მთელი თავისი პოლიტიკით განავითარა ეს სულელური ოპოზიცია მუშათა სარევოლიუციო კომუნისტურ პარტიაში. ცენტრალური კომიტეტი რომ ბევრს მუშაობს, ამის თავდებია ანგარიში ცენტრალური კომიტეტისა. როდესაც თქვენ იხილავთ ახსნა განმარტებას პასუხისმგებელ მუშაკთა ტაბლიცებთან, თქვენ ატყობთ, რომ ცენტრალურ კომიტეტში არსებობს დაწესებულება, ორგბიუროს სახელწოდებით.

თქვენ ხედავთ შემდეგ, რომ ეს ბიურო სისტემატიურად მართავს მთელ რიგ ორგიებისას, სხვადასხვა საკითხთა განხილვის საქმეში და ორგიათა მაქსიმუმი გამართულ იყო 26 ნოემბერს. ერთი სხდომის განმავლობაში ორგბიუროს განუხილავს 104 საკითხი. ალბათ ისინი ამ დროს განმავლობაში მუშაობდენ გადაყვან გადმოყვანის და გადაჯგუფების საქმეზე. და იქაც კი იმ ძველ ნამდვილ პროლეტარულ, ეგრედ წოდებულ ივანოვ ვოზნესენსკის ორგანიზაციაში, სადაც მუშათა ოპოზიცია არ იყო უკანასკნელ დრომდე, სადა ორგანიზაციაში ძველი, ნამდვილი მუშა პროლეტარები, ძველი კომუნისტები შედიოდენ, წინაღმდეგნი იყვნენ ამ დანიშნულებისა და მართალიც იყვნენ უნდა ითქვას, რომ არაფერი არ იწვევს ისეთ აღელვებას, როგორც ეს დანიშვნანი და გადაყვან-გადმოყვანანი, რომელიც შეიძლება აიხსნას ისე: ცოდომ უწია, ეშმაკმა მოიტანა—სხვა ახსნა არ შეიძლება. ხალხი იჭრება სრულიად უცხო წრეში თავის, სადღაც შესწავლილ ჩვეულებებით, იწვევენ უკმაყოფილებას, ოპოზიციას, და რადგანაც ეს ოპოზიცია საკმაოდ არ არის შეგნებული და გამოწაფული, ის უერთდება მუშათა ოპოზიციას.

შემდეგ, ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტი—და ამაზე ჩვენ კვლავ გვექნება ლაპარაკი პარტიულ აღმშენებლობით საკითხზე, დაიყო შიგნიდ მთელ რიგ ორგანიზაციებათ. მე თქვენ უკვე მოგახსენეთ ორგბიუროზე, ამის გარდა იქ არსებობს ეგრედ წოდებული პოლიტიკური ბიუროც, ამ დაყოფაში დიდი საფრთხე იმალება, ამ საფრთხეს ყურადღება უნდა მიექცეს და დროც არის მოვსპოთ ცენტრალურ კომიტეტის დაყოფა სხვადასხვა კამერებათ, დროა მოვსპოთ ცენტრალურ კომიტეტის გადაქცევა ბურჟუაზიულ დაწესებულებად, უფლებათა დანაწილებით,—ორგბიურო რომელიც აწარმოებს დანიშვნა გადაყვანის ორგიებს და პოლიტიკური ბიურო, რომელიც როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელი აწარმოებს მხოლოდ პოლიტიკას. დროა მოვსპოთ ცენტრალურ კომიტეტის ორგანიზაციის იმისდამიხედვით დაყოფა: მუშა თუ არა მუშა, ინტელიგენტი თუ არა ინტელიგენტი, დაბალი და უმაღლესი, როდესაც პარტიულ ყრილობას დადგენილებას წინ უძღოდა ნამდვილი დისკუსია. ვინაიდან, ამხანაგებო, დისკუსია არა ვნებს, დისკუსია მხოლოდ ამაგრებს ჩვენს პარტიას. საზოგადოდ დისკუსიები უნდა სწარმოებდეს, ისინი სასარგებლონი არიან, მაგრამ არ უნდა მივიყვანოთ იქამდის, რომ ისინი, როგორც თოვლი თავს დაგვეცეს ერთბაშათ, ისე როგორც ეხლა, როცა უცბად სასურსათო განაწილება შევცვალეთ სასურსათო გადასახადით. ამხანაგებო სახალხო სასურსათო კომისარიატიდან მოგახსენებენ თვითონ, როგორ მოულოდნელათ დაისვა მათთვის ეს საკითხი. ჯერ ისევ სულ ამ მოკლე ხანში, ორი წლის წინად, ჩვენ ყველა ამ კითხვებს ვარჩევდით უფრო ფართე, პასუხისმგებელ მუშაკთა კრებებზე. სწარმოებდა საშინელი დისკუსიები, ის ვინც ამ საკითხებს არჩევდა დარწმუნებული იყო, რომ ემორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას. აქ კი, ამხანაგებო, ჩვენ იქამდის მივდივართ რომ, მთელ რიგ დადგენილებებისას მოსკოვის ორგანიზაცია—მე არ ვამბობ ცენტრალურ კომიტეტზე—ტყობილობს მას შემდეგ, როცა ისინი უკვე მიღებულ იყვნენ მას შემდეგ როცა მთელი რიგი აგიტატორებისა, ჯერ დღესაც, ქარხნებში გამოდიოდნენ და გაიძახოდენ: „სასურსათო დანაწილება, დანაწილებას ჩვენ მხარს ვერ აუქცევთ“-ო. მეორე დღეს კი ამხ. ლენინთან ერთად გაიძახიან: „ნატურალურ გადასახადში საღი აზრია“-ო. ამას, ამხანაგებო, ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ. ჩვენ უნდა მთელი ჩვენი ძალღონით ვეცადოთ, რომ ყოველი ამნაირ გადაწყვეტილებას ჰქონდეს პარტიული ნიადაგი. ყველა ეს უთანხმოებანი თეორეტიულად და პრინციპიალურად უნდა განხილულ იქმნეს უფრო ახალგაზრდა ამხანაგთა შორის. ჩვენ ამხანაგებმა უკვე დაიწყეს დავიწყება მარქსისტულ ჟარგონისა. და აი ამხანაგებო მე თქვენ გიწვევთ: კრიტიკა გაუწიეთ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეთ ცენტრალური კომიტეტი, მაგრამ გახსოვდეთ, რომ უმთავრესი მისი შეცდომა გამოიხატება იმაში, რომ მან აღზარდა ასეთი უაზრო მუშათა ოპოზიცია.

საქართველოს რევკომის სალამი

საქართველოს რევკომი დეპეშას უგზავნის სომხეთის რევკომს: „საქართველოს რევკომი აღფრთოვანებული და გახარებული ულოცავს სომხეთის მშრომელ ხალხს კონტრ-რევოლიუციონურ და პოლიტიკურ ავანტიურისტებზე გამარჯვებას, რომლებიც ცდილობდნენ მრავალ ტანჯულ ქვეყნის მუშები და გლეხები ხელახლა ჩაეგდოთ მონობაში და იმპერიალისტების ულელქვეშ. ოქტომბრის რევოლიუციის მზემ ხელახლა გააშუქა ერევანი და არავითარ ბურჟუაზიულ წყევლას არ შეუძლია დააბნელოს იგი. უსურვებთ ამხანაგებს დანგრეულ ქვეყანაში აღმშენებლობას, რომელიც დაფარულია [illegible] [illegible], ძალ.ს და ენერგიას ქალაქის და სოფლის მშრომელთა საკეთილდღეოდ. მოსპეთ მტერი მის უკანასკნელ ბუნაგში. ჩვენ თქვენთან ვართ, ამხანაგებო ამ ბრძოლაში. ჩვენ გავიზიარებთ არამც თუ მარტო სიხარულს, არამედ გასაჭირსაც, რომელიც აუცილებელია თქვენს გზაზე. გაუმარჯოს აღორძინებულ საბჭოთა სომხეთს! გაუმარჯოს ყველა რესპუბლიკების მემამულეთა და კონტრ-რევოლიუციონურ ბრძოლის ლაშქრულ სოლიდარობას!

საბჭოთა რუსეთში.

მუშებო და გლეხებო, იყავით ფხიზლათ და არ წამოეგოთ ანტანტის დაქირავებულთა ანკესზე.

პეტროგრადი. 28 მარტი. (რადიო) რიგის გაზეთი ,,ახალ-გზა“-ში გამოქვეყნებულია საიდუმლო საბუთი სავინკოვისა საფრანგეთის სამხედრო მინისტრის და პოლონეთის მთავრობის მოღვაწეთა მიმართ. სავინკოვი სხვათა შორის სწერს, რომ ბოლშევიკების ძალა უფლება შეუძლიათ ჩამოაგდონ მხოლოდ რუსებს და ყოველი ცდა უცხო შეიარაღებული ძალით მისი ჩამოგდებისა უშედეგო იქნება. მხოლოთ მასსიური აჯანყებას ადგილობრივ ხალხთა ხელმძღვანელობით შეუძლია ბოლო მოუღოს საბჭოთა ხელისუფლებას. ანტანტის საზიზღარი მონა სავინკოვი წინადადებას იძლევა მოეწყოს ადგილებზე აჯანყება და იტყობინება, რომ აჯანყებულთა რაზმებსა და რუსეთიდან წასულ პოლიტიკურ კომიტეტის შორის კავშირის დასაკავებლათ უკვე დაარსებულია განსაკუთრებული საინფორმაციო ბიურო, რომელსაც აქვს თავისი გაზეთები რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში.

ყაზახები ბრუნდებიან საბჭოთა რუსეთში.

ოდესა, 28 მარტი. ამ დღეებში ოდესაში მოვლიან 2.000 ყაზახს, რომლებიც მსახურობდნენ დენიკინის და ვრანგელის ლაშქარში. დაბრუნებულებს ენიჭებათ სრული ამნისტია. ისინი ისარგებლებენ დემობილიზაციის ყველა უფლებით და შეღავათით. თავიანთ ახალ შრომის სამშობლოში დაბრუნებულებს გაუმართავენ საზეიმო შეხვედრას. ამ პარტიას მოჰყვებიან სხვებიც. საერთოთ ყაზახთა შორის, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა რუსეთ-გარეთ, ვითარდება დიდი მოძრაობა საშობლოში დაბრუნების სასარგებლოთ. მრავალრიცხოვანი ჯგუფი გამოსთქვამს დაჟინებითი სურვილს რუსეთში დასაბრუნებლად. უმეტესი ყაზახთაგანი ეკუთვნიან ისეთებს, რომელთაც ეხებათ ანდა უკვე განთავისუფლებული არიან დემობილიზაციით.

წინასწარი მზადება 1 მაისის სადღესასწაულოდ.

მოსკოვი. 4 აპრ. (რადიო). ამ დღისთვის განზრახულია ყველა ფაბრიკებსა, ქარხნებსა და წარმოებებში გაიმართოს სადღესასწაულო სხდომები შრომის გმირების პატივსაცემლათ. გაიმართება სადღესასწაულო გამოსვლა და დემონსტრაციები. განზრახულია საღამოს კონცერტ-მიტინგები. მთელ ქალაქში მოწყობილ იქმნება მრეწველობა-წარმოების გამოფენა.

მორიგი პროვოკაცია.

მოსკოვი. 26 მარტი. საგარეო საქმეთა კომისარიატი შემდეგს აცხადებს: მას შემდეგ, რაც ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურათ განაცხადა, რომ იგი სთვლის სიმართლეთ ინგლისის პრესაში გავრცელებულ პროვოკაციულ ცნობებს პეტროგრადისა და მოსკოვში აჯანყებათა შესახებ, ვითომ ლენინი და ტროცკი ყირიმში გაიქცნენ და ვითომ თეთრი ბაირაღი ფრიალებს კრემლზე. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს სიცრუის ოფიციალ. კამპანია კიდევ შორს წავიდა და რვა მარტს მან გამოუშვა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, ვითომ მთელი პეტროგრადი, პეტრე-პავლეს ციხის გარდა აჯანყებულების ხელში იყვეს. დიდი ბრიტანეთის მთავრობას არ შეეძლია არ იცოდეს, რომ პეტროგრადში სუფევს ერთობ მტკიცე განწყობილება და გადაწყვეტილება ყოველივე ძალღონით წარმოებულ იქმნას ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თეთრ გვარდიელთა და მის მომხრე ანტანტის წინააღმდეგ.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგონარ გამოსვლას უეჭველია მიზნათ აქვს, რომ ინგლისისა და რუსეთს შორის შემდეგ მოლაპარაკების გაგრძლებას ზიანი მიაყენოს. და იმავ დროს გავლენა მოახდინოს ოსმალეთის დელეგაციასა და ეხლახან მთავრობაში ჩამდგარ ამერიკის პრეზიდენტზე..

რუსეთის მთავრობამ მიმართა ოსმალეთის მთავრობას, რომ მან მის წინაშე გამოაშკარავოს ინგლისის მთავრობის ზამანდი, რომელსაც მიზნათ აქვს დიდი ზიანი მიაყენოს რუსეთის და ოსმალეთის ხალხებს. ამასთანავე ერთად ცნობა იგზავნება ამერიკაში იმისთვის, რომ იგი გააცნოს საქმის ნამდვილ გარემოებას და მიუთითოს მას სინამდვილისაკენ, ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალური გამოსვლების სინამდვილესაგან საოცრად დაშორებაზე.

საზღვარ-გარეთ

სამუდამო ზიზღი გერმანიის მუშათა კლასის სოციალ-გამცემლებს.

ნაუენი. 2 აპრილი (რადიო). დღეს საღამოს გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ გამოუშვა მოწოდება მუშების მიმართ, რომელშიაც ალნიშნავს უკანასკნელ აჯანყების დამარცხებას (დამახინჯებულია). უთვლის რა დიდ სამდურავს ორთავე სოციალისტურ პარტიებს, პროლეტარულ იდეების ღალატისათვის, წინადადებას აძლევს კომუნისტებს შეწყვიტონ ეს მოძრაობა და უცადონ კარგ დროს.

ისპანიაში.

პარიზი. 26 მარტი. პარიზის გაზეთი „ჟურნალი“ იუწყება: მადრიდიდან მოსულ ცნობების თანახმად ისპანიაში ეკონომიური კრიზისი მწვავე ხასიათს ღებულობს, მთავრობამ გადასწყვიტა მოაწყოს საზოგადო სამუშაოები უმუშევართა დასამშვიდებლათ. მწარმოებლებმა კატალონიაში დაკეტეს 200 ქარხანა, რის გამოც უმუშევრათ დარჩა 20 ათასი მუშა, სხვადასხვა სამთო სამრეწველო რაიონებში შრომის ხელფასი შეამცირეს 20 პროცენტით. ბილბაოს პროვინციაში უმუშევრათ დარჩა მეტალურგიულ წარმოებათა 6,000 მუშა.

მღელვარება ოპორტოში

ბერლინი. 24 მარტი. პრესა იუწყება, რომ ოპორტოში იფეთქა რევოლიუციონურ-სინდიკალისტურმა მოძრაობამ. მუშებმა ისროლეს სამი ყუმბარა, მათ რიცხვში ორი ყუმბარა ესროლეს სასამართლოს შენობას და ერთი ესპანეთის მისიის შენობას.

მონარქიულ გადატრიალების ცდა უნგრეთში.

ნაუენი. 3 აპრილი (რადიო). ოფიცრები და მცხოვრებთა ნაწილი კარლოსის მხარეზეა, რომელმაც განაცხადა, რომ ის იქნება დემოკრატიული მეფე და დევნას ბოლოს მოუღებს. ყოფილი მეფე კარლოსი უარს ამბობს უნგრეთის დატოვებაზე და განაცხადა, რომ იგი იმ შემთხვევაში წავა მხოლოდ თუ მას მოკავშირეთა ჯარები აიძულებენ. ჯარის-კაცები ამ ავანტიურას გულცივად უცქერიან. ამ ჟამათ იხილავენ კარლოსის მოკავშირეთა ძალების განდევნის საკითხს.

ეკონომიური გაჭირვებაში ჩაყენება გერმანიისა.

რიგა. 2 აპრ. (რადიო). იტყობინებიან, რომ ინგლისმა 1 აპრილიდან შემოიღო 50 პროც. გადასახადი გერმანიიდან შემოტანილ საქონელზე.

უმუშევრობა ამერიკაში.

რიგა. 2 აპრ. (რადიო). შეერთებულ

[illegible]ტების მთავრობამ აკრძალა უცხოელ [illegible]თა ამერიკაში შემოსვლა უმუშევ[illegible]ბის გამო.

ბოლშევიკების შიში.

[illegible]. 5 აპრილი. (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან: ინდოეთის საკანონმდებლო კრებაზე ბიუჯეტის განხილვის დროს, ინდოეთის ჯარების მთავარ-სარდალმა განაცხადა, რომ მან, როგორც ადამიანმა, რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ ოპერაციებს აწარმოებდა, კარგათ უწყის ბოლშევიკური საფრთხე (გამოშვებულია), ამიტომ ინდოეთმა უნდა იქონიოს ძლიერი და მებრძოლი ლაშქარი, საჭიროა მთავრობის ჯარები, რათა დაცულ იქნეს მშვიდობიანობა ქვეყნის შიგნით. საომარი ხარჯების არავითარი შემცირება არ შეიძლება მანამდის, სანამ აგიტატორები არ დაიშლიან ერთგულ და სხვა მასსების მოტყუებას.

ფინეთის სოციალისტების გამარჯვება.

რეველი. 3 აპრილი. (რადიო). (დამახინჯებულია) ტალმანად აირჩეს სოციალ-დემოკრატი. ფინეთის ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ სოციალისტის ტალმანად არჩევა სულ ფინეთის ბურჟუაზიულ პარტიების ბრალია, რომელთაც ყური არ უგდეს შვედურ პარტიის განცხადებას, რომ იგი მისცემს ხმას მხოლოდ იმ კანდიდატს, რომელმაც შვედური ენა იცის. ამან აიძულა შვედები თავის ხმები მიეცათ შვედურ ენის მცოდნე სოციალისტისთვის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარული დეპეშა ყველა რევკომებს.

ღვინის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის ნიადაგზე ხმებია გავრცელებული, რომ ეს აკრძალვა არა დროებითია, განსაკუთრებული მდგომარეობით გამოწვეული, არამედ სამუდამო.

ამის გამო ზოგიერთ ადგილას მევენახენი, უფრო-კი, წვრილი მწარმოებელნი—გლეხობა გულს იყრიან ვენახების შემუშავებაზე. ზოგს მავთულებიც-კი მოუხსნიათ [illegible]სათვის და ჭიგოს წვას შესდგომიან.

ამგვარად რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობის ერთ უმთავრეს დარგს—მევენახეობას—დიდი საფრთხე მოელის.

საბჭოთა მთავრობის აზრადაც არ მოსვლია მევენახეობის კულტურის მოსპობა და თუ ამ ჟამად ღვინის ყიდვა-გაყიდვა აკრძალა, ეს დროებითი ღონისძიებაა სამხედრო მდგომარეობით გამოწვეული.

პირიქით მთავრობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის ხელი მოუწყოს მევენახეობის განვითარებას და საჭიროდ მიაჩნია ყოველმა მევენახემ განაგრძოს თავისი ჩვეულებრივი მუშაობა და არას გზით არ მოშალოს და გააყამიროს თავისი ვენახი.

ახლო მომავალში შემუშავდება სათანადო წესი ღვინის გაყიდვისა, რომელიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს მევენახეობას, ვიდრე ეს წინად იყო.

ამის გამო წინადადება გეძლევათ გააფრთხილოთ ადგილობრივი მევენახენი, რომ მათ ყალბად ესმით მთავრობის დროებითი განკარგულება ღვინის შესახებ და სასწრაფოდ გადასცეთ მათ მთავრობის გულწრფელი სურვილი, რომ იგი ყოველი საშუალებით ხელს შეუწყობს მევენახეობის აყვავებას და განვითარებას.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის [illegible]ნი **შ. გაბრიჩიძე.**

დე[illegible]ტი № 12

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა. მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის შესახებ.

მუშა მოსამსახურეთა დაზღვევის შესახებ არსებული კანონებისა და დებულების შესაცვლელად, ს. ს. ს. რ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

[illegible] ყველა დაქირავებული პირი შრომის ყველა დარგში, განურჩევლად იმისა, თუ რა ხასიათისაა მისი სამუშაო, აგრეთვე მიუხედავათ იმისა თუ, სად მუშაობს იგი: სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებასა ან წარმოებაში, ანუ ცალკე პირთან, უნდა აუცილებლად უსასყიდლოთ დაზღვევულ იქნენ ავადმყოფობისა, დასახიჩრებისა, [illegible]რობისა, მოხუცებულობისა, სიკვდილისა, უმუშევრობისა, დაქვრივებისა [illegible]ლობისა და დედობისაგან.

შენიშვნა: იმ ხელოსნებს და შინამრეწველთ, რომელნიც მუშაობენ დაქირავებული შრომის პირობების გარეშე, [illegible] აქვთ ნებაყოფლობითი დაზღვევისა.

2) შრომის სახალხო კომისარს წინადადება ეძლევა შეიმუშაოს სათანადო დებულებები პირველ (1) მუხლში აღნიშნული სოციალური დაზღვევის დარგებისა და აგრეთვე განსაზღვროს ის ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიაც უნდა იქნეს თვითეული დარგი სოციალური დაზღვევისა.

ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი ლადო **დუმბაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 2.

თბილისი—სასახლე.

დეკრეტი № 11.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა. სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა სოციალისტურ საბჭოთა მთავრობამ, დაისახა რა მიზნად ნამდვილი სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ საქართველოს მშრომელი ხალხის ულატაკესი ნაწილისა: უმუშევართა: შრომისა და ბრძოლის უნარ მოკლებულთა, შრომის არ შემძლე ანუ დროებით შრომის უნარ დაკარგულთა (ორსულობისა, ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო), სტიქიური უბედურებისა ან კონტრ-რევოლიუციისაგან დაზარალებულთა და სხვ.,—დაადგინა:

1. დაარსებულ იქნეს ადგილობრივ, საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო რევოლიუციონურ კომიტეტებთან სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი.

2. ყველა სამოწყალო სახლები: ახალშენები, სახელოსნოები, დავრდომილთა დასახიჩრებულთა და ქვრივთა თავშესაფარი სახლები, რომელნიც წინად ეკუთვნოდა ცალკე კერძო პირთ, საქველმოქმედო, საზოგადოებრივ და ეროვნულ ორგანიზაციებს. ქალაქების და მთავრობის ყოფილ დაწესებულებათ, მთლიანად გადადიან სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა და მის საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო დაწესებულებათა გამგებლობაში.

3. ყოველგვარი დახმარების გაცემა, რომელსაც წინათ ეწეოდნენ ამ დეკრეტით გაუქმებულნი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გადადის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ დაწესებულებათა გამგებლობაში.

შენიშვნა: რევოლიუციონური ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ დაწესებულებათა დაარსებამდე, მიიღონ საჭირო ზომები გაუქმებულ საქველმოქმედო ორგანიზაციების კუთვნილ ქონების აღრიცხვისათვის.

4. უცხო სახელმწიფოთა დამხმარე, კომიტეტები, რომელნიც მოქმედებენ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, კვლავ განაგრძობენ არსებობას.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 2.

ქ. თბილისი—სასახლე

დეკრეტი № 10.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

რკინისგზების შენობების შესახებ.

1. რკინის გზების ის შენობები, რომელნიც განთვისების ზოლში არიან მოთავსებული, შეიძლება გადაცემულ იქნენ სხვა და სხვა უწყებისათვის მხოლოდ რკინის გზათა სამმართველოს თანხმობით.

ყველა შენობა, რომელიც რკინის გზების დაწესებულებათ უჭირავთ და რომელიც განთვისების ზოლის გარეშე იმყოფება, შეიძლება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს თანახმად დადგენილებისა ბინების [illegible]ლობის შესახებ, რაც უნდა აუცილებლად ეცნობოს რკინის გზების სამმართველოს.

2. რკინის გზების ყველა ის შენობები, რომელნიც განთვისების ზოლში იმყოფებიან და რომლითაც სარგებლობენ სხვა და სხვა უწყებები, ანუ ორგანიზაციები ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა განთავისუფლებულ იქნენ და დაუბრუნდენ რკინის გზების სამმართველოს, თუ რკინის გზების სამმართველო ამ დეკრეტის პირველ (1) მუხლში მოხსენებული წესის მიხედვით თანხმობას არ განაცხადებს რკინის გზების შენობების იმ დაწესებულებათა ანუ ორგანიზაციების დატოვებაზე, რომელთაც ეს შენობები უჭირავთ.

3. საომარი მოქმედების რაიონში ჯარის ნაწილები და სამხედრო უწყების დაწესებულებანი შეიძლება მოთავსებულ იქნენ რკინისგზების შენობებში მუშა-მოსამსახურეთა ბინებიდან დაუთხოვნელად,—ჯარის ნაწილები და დაწესებულებანი უნდა მოთავსებულ იქნენ მხოლოდ ჩასახლების სახით, რისთვისაც საჭირო არის წინასწარი შეთანხმება რკინის გზების სამმართველოსთან.

4. რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა ბინებიდან გასახლება, თუ მათ ეს ბინები განთვისების ზოლის გარეშე უჭირავთ, შეიძლება მხოლოდ სათანადო რევოლიუციონური კომიტეტების საბინაო-საადგილმამულო განყოფილებათა დადგენილებით და რკინის გზების სამმართველოსთან აუცილებელი შეთანხმებით, ამასთანავე რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთ ამის შესახებ უნდა ეცნობოს წინასწარ (ერთი კვირით ადრე საქმის გამორკვევამდე), ხოლო სამაგიეროთ მათ უნდა მიეცეთ სხვა ბინები შეძლებისადაგვარად მათი მუდმივი სამუშაოს ან სამსახურის რაიონში.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 2.

თბილისი სასახლე.

ამხ. ლუკიანე თაბუკაშვილის ხსოვნას*)

რუსეთის და საქართველოს კომპარტიამ, ყოფილ ჯალათურ მთავრობის აგენტების მეოხებით დაკარგა ამხ. ლუკიანე თაბუკაშვილი.

ამხ. ლუკიანე სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა იყო, პატიოსანი და სპეტაკი პიროვნება. ის სრულუფლებიანი წევრი იყო რუსეთის და საქართველოს კომპარტიის.

ის იმყოფებოდა საბჭოთა რუსეთში და იარაღით ხელში ჩადგა გმირთა რიგში საბჭოთა წეს-წყობილების გასამტკიცებლად.

ამხანაგი ლუკიანე 15 წლიწადს სამშობლოს მოწყვეტილი ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთიდან შვებულებაში თავის ქვეყნის და ამხანაგების სანახავად. მან, ლუკიანემ ბევრი რამ გვიამბო ადგილობრივ კომუნისტებს (ყოფილ ჯალათურ მთავრობის დროს) საბჭოთა რუსეთის მუშების მდგომარეობაზე—რასაც აღტაცებით და მეტის ყურადღებით ვუსმენდით...

ამხ. ლუკიანე 21 თებერვალს შეიპყრეს ყოფილ ჯალათურ მთავრობის აგენტებმა, როგორც საბჭოთა წეს-წყობილების მომხრე და მოათავსეს ქ. ზესტაფონის ციხეში.

4 მარტს ამ საზიზღარ ჯალათებმა სამუდამოთ გამოასალმეს ის წუთი სოფელს ქ. ზესტაფონში.

მშვიდობით ამხ. ლუკიანე... თუმცა შენ არა ხარ ჩვენთან, მაგრამ შენი ხსოვნა როგორც საბჭოთა საქართველოში აგრეთვე რუსეთშიდაც დარჩება ამხანაგებთან განუყრელათ.

ამხ. ლუკიანე შენს მკვლელს გაუსწორდება შენი პარტია.

ტერენტი შარიქაძე.

ქრონიკა

◆ საბჭოთა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის განკარგულებით ერთდროული დახმარება მიეცა შემდეგ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეთ: კონსტანტინე ყიფიანს, მარიამ საფაროვი-აბაშიძისას, მოსე ჯანაშვილს, და ანასტასია თუმანიშვილისა-წერეთლისას, თვითეულს ასი ათასი მანეთი.

◆ **ხარებობის უქმე.** თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებისა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებში დღეს 7 აპრილს, მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს ხარების დღესასწაულის გამო.

◆ **სახელმწიფო თეატრის კომისარმა** იუზა ზარდალიშვილმა, შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ სიძვირის გამო სახელმწიფო თეატრის მსახიობთ და მუშა-მოსამსახურეთ ასი პროცენტით გაუდიდდეს ჯამაგირი. კომისარი შუამდგომლობს აგრეთვე, რომ ავადმყოფ მსახიობთ კოტე ყიფიანს და ბეგლარ ახოსპირელს საექიმოთ მიეცეთ ერთდროულ დახმარების სახით ორმოცი ათასი მანეთი. კომისარის შუამდგომლობით მსახიობ ვიქტორ გამყრელიძეს და მესხიშვილის ქვრივს დაენიშნათ მუდმივი პენსია. თვითეულს მათგანს თვეში ათი ათასი მანეთი.

◆ **ხუთშაბათს,** 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ახალგაზდობის კომუნისტური კავშირის თბილისის ყველა რაიონებში მოწყობილ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე „აუცილებლობა სამხედრო-ვარჯიშობა-სწავლების, ახალგაზდობის კომუნისტური კავშირის ყველა წევრთათვის დასწრება სავალდებულოა.

◆ **კოტე მათირიშვილის გარდაცვალების გამო.** სახელმწიფო დრამის დირექცია იწვევს კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს (სახალხო განათლების კომისარიატის, რევკომის, სახელოვნო ცენტრის რაბისის, სახალხო სახლის წარ. მართ. წრის სახალხო აუდიტორიების ქალაქის რევკომის, საოპერო თეატრის, დრამის თეატრის და სხვა აპრილის 7-ს დილის 10-ს საათზე სახელმწიფო დრამის თეატრის შენობაში დაკრძალვის და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გამოსარკვევად.

◆ **ამხ. ორჯონიკიძის დეპეშა.** ერევანი. სომხეთის რევკომს. სულით და გულით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მრავალ ტანჯულ განთავისუფლებულ სომხის ხალხს, ყოველნაირ ავანტიურისტების და ანტანტას დაქირავებულთაგან განთავისუფლებას. ნება მომეცით გამოსთქვა იმედი, რომ ამხანაგ-კომუნისტების გონივრული პოლიტიკა გააერთიანებს ყველა მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას ყველა წარსულის დავიწყების ნიადაგზე და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში. გაუმარჯოს მუშა-გლეხთა საბჭოთა სომხეთს. ორჯონიკიძე.

◆ **სომხეთის მისია.** თბილისიდან ერევანში წავიდა სომხეთის ს. ს. რ, საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ამხ. გრავიანი.

— ახლო მომავალში მოსალოდნელია მტკიცე კავშირის დამყარება ერევნის რევკომთან.

◆ **სახალხო ჯანმრთელობის კომისრის ჩამოსვლა.** 3 აპრილს თბილისში ჩამოვიდა საქართველოს ს. ს. რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარი ექიმი კუპაიძე. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ის იყო ორლოვის გუბერნ. რევკომის თავმჯდომარე, განაგებდა იქვე ჯანმრთელობის განყოფილებას. შემდეგ რ. ც. კ. ტ. კ. და რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისრათ, იყო დანიშნული რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთის შრომის ლაშქრის სამხედრო საბჭოში, რის შემდეგაც იყო დანიშნული ჯანმრთელობის განყოფილების მოსაწყობად და კავკასიის მადნეულ წყლების დირექტორათ, უკანასკნელ დროს კი იყო რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისრის რწმუნებულათ ჩრდილო-კავკასიის საავგარაკო სამართველოში და აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულათ აზერბაიჯანში სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის და ჯანმრთელობის განყოფილების მოსაწყობად.

◆ **ლიტერატურა.** სოხუმის ოლქში გაიგზავნა ერთი ვაგონი ლიტერატურა და პლაკატები.

◆ **ავტომობილების დაბრუნებ[illegible]** ხელმწიფო ქონების აღრიცხვის საგ[illegible]გებო კომისიამ წინადადებით მიმარ[illegible] საქართველოს რკინის გზების ს[illegible]თველოს გამოიზახოს ბათომიდან [illegible]ლისში 16 ავტომობილი, [illegible] მენშევიკურმა მთავრობამ [illegible] სტამბოლში.

◆ **დანიშვნ[illegible] [illegible] ხ[illegible]ხალხო კომისარიატში.** მარ[illegible]

დაშვებულია თბილისის გუბერნიის მილიციის შტაბის [illegible] აღმასრულებლად [illegible] ამხ. დ. ე. ლამბაშიძე ინიშნება 1 აპრილიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგედ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი რ. გოგოხია ინიშნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად ქუთაისის გუბერნიასა. სოხუმის და ბათომის ოლქში.

ახალქალაქის მაზრის მილიციის უფროსად დაინიშნა ამხ. **ს. ნადირაძე.**

◆ **მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად გასულ ვ. ს. გოგილაძის მაგივრად დაინიშნა აგრონომი ე. ი. ვაწაძე. სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ დაინიშნა ქრ. როლოვი, მიწის ფონდის განყოფილების (სახალხო-ძვირფას მამულების და სადოვრების ქვეგანყოფილებების გამგედ დაინიშნა მ. ე. ბიბინეიშვილი.

— **სამოსწავლო საქმე.** 3 აპრილს სახალხო განათლების კომის. კოლეგიამ სამოსწავლო ცხოვრების მოწყობის შესახებ მიიღო შემდეგი დებულებანი: სამაზრო სკოლები ექვემდებარება მაზრის რევკომს, ქალაქისა კი—ქალაქის რევკომს, საშუალო სასწავლებლები კომისარიატს. ამ ჟამათ მუშავდება საკითხი სკოლის გარეშე განათლების შესახებ.

◆ **მინდვრების დათესვა.** საქართველოს ს. ს. რ. მინდვრის დამთეს ცენტრალურმა კომისიამ მიიღო დეპეშები გორის, დუშეთის. თბილისის და თელავის მაზრის რწმუნებულებისაგან, რომ ამ მაზრებში მინდვრის დათესვა მოეწყო, ვისაც თესლი არ აქვს მათთვის შეძენილია სათესლე.

◆ **სურსათის თავისუფალი გადატანა** სურსათის დაკავების შემთხვევების გამო გზის უფროსმა რკინის გზის მთელ ხაზზე გასცა შემდეგი ბრძანება: მიუხედავათ საქართველოს რევკომის მიერ გაცემულ დეკრეტისა, რომლის ძალითაც მოქალაქეებს ნება ეძლევათ სურსათის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლივ გადატან-გადმოტანისა, უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია არა ერთი შემთხვევა მილიციის თანამშრომლების და ჯარის ნაწილების მიერ სურსათის დაკავებისა. ვრაცხ რა მსგავს მოვლენებს სრულიად დაუშვებელს და უკანონოს. წინადადებას ვიძლევი. მოქალაქეებს რომელთაც სურსათი გადააქვთ, არ მიაყენონ არავითარი დაბრკოლება, მოვავონებ, რომ დამნაშავენი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი. მილიციის აგენტებს წინადადება ეძლევათ მათ პირადი პასუხის მგებლობით სასტიკათ თვალ-ყური ადევნონ აღნიშნულ განკარგულების სისრულეში მოყვანას. უფროსი და სახალხო კომისარი **კაციტაძე.**

◆ **რკინის გზის სასურსათო კომიტეტი.** თფილისიდან სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების ევაკუაციის დროს ყველაზე უფრო ძლიერ დაზარალდა რკ. გზ. სასურსათო კომიტეტი, რადგან გატანილ იქნა თფილისის და ხაზის საწყობებიდან მთელი ქონება და მარაგი. ამ ჟამად ახალი სასურსათო კომიტეტის ენერგიული ზომების წყალობით შესაძლებელი გახდა ექვსი სასადილოს გახსნა, ზომები მიღებულია ასეთი სასადილოები გაიხსნას რკ. გზ. მთელ ხაზზე. ყველგან აღდგენ და ხსნიან პურის საცხობებს, აწყობენ სურსათის შესყიდვას და სხ. სურსათის მხრივ განზრახულია შეაერთონ ერთ განყოფილებაში საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის გზები, დაწყებული პეტროვსკიდან ვიდრე შავზღვამდე, საქართველოს და სომხეთის რკინის გზების გამოკვლევის შემდეგ აპრილის 15—20 შუა თფილისში მოხდება აღნიშნულ გზების კვანძის რაიონების წარმომადგენელთა კონფერენცია.

ხელოვნება

სახელმწიფო დრამის თეატრში

შაბათს, აპრილის 9-ს პირველად ა[illegible]ნში წარმოდგენილ იქნება სუმბა[illegible]ვილის „ღალატი“ ჩვენი დასის საუ[illegible]ესო ძალების მონაწილეობით. პიეს[illegible] რეჟისორობს ალ. წუწუნავა.

[illegible] აპრილის 10-ს მესამედ [illegible] „[illegible] დამნაშავეთა“.

[illegible]ოქმე.

[illegible]აპრილის 9-ს, 19[illegible]

[illegible]თიანთ სასახ[illegible]

[illegible]ართიის კავში[illegible]

---

*) წერილი [illegible] რედ.

ელსაც დაესწრნენ შემდეგი პირნი: ა. წუწუნავა, პ. კორიშელი, ვალ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, შ. დადიანი, კ. ანდრონიკაშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ვ ჯიქია, ც. ამირეჯიბი, ვ. არაბიძე, ან. ქიქოძე, პ. ფრანგიშვილი და კავშირის თანამშრომელი ს. ახვლედიანი. კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა შ. დადიანი, ხოლო მდივნად ვ. ჯიქია.

კრების განსახილველ საგნად დასმული იყო ხელოვანთა მთავარ კომიტეტში მსახიობთა სამი წარმომადგენლის არჩევა, ერთიც ხელოვანთა კოლეგიაში და ერთი სარეკომენდაციო კოლეგიაში. ამ უკანასკნელში ერთხმად კრება თავის წარმომადგენლად ირჩევს კ. ანდრონიკაშვილს. შემდეგ ხელოვანთა კოლლეგიაში დასახელებულ იქნა შ. დადიანი უმრავლესობის მიერ, მაგრამ ა. წუწუნავას წინადადებით კრებამ აირჩია სამი პირი (ა. წუწუნავა, შ. დადიანი და პ. კორიშელი), რომელთაგანაც მთავრობა თუ ხელოვანთა გამგეობა აირჩევს ერთ ერთ მათგან კოლლეგიაში მსახიობების წარმომადგენლათ.

კრების თავმჯდომარე შალვა დადიანი.
მდივანი ვ. ჯიქია.

მკითხველის წერილები

სიტყვით თუ საქმით.

სამ წელზე მეტია რაც საქართველოში მენშევიკურმა მთავრობამ იმეფა. ვისგან შესდგებოდა ეს მთავრობა? ამაზე ჩვენ ბევრი სჯა-ბაასი არ დაგვჭირდება, ვინაიდან ესენი იყვნენ ძველი ყოფილი ვითომდა „სოციალისტები“, რომლებმაც ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ, უარყვეს თავისი იდეები, მოვიგონოთ ბ.ბ. რამიშვილების საქმენი საგმირონი; მათ მიუსიეს ყაჩაღ გოგუაძეები, ჯუღელ-მათითაიშვილები და სხვ. მშრომელ ხალხს თოფ-ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვევლებით და გაუსწორდენ, იმიტომ რომ მშრომელი ხალხი მოითხოვდა თავისუფლებას, მოითხოვდა დანაპირების აღსრულებას და რომ არ გაამართლეს თავისი დანაპირები, ამისათვის მუშა მშრომელი ხალხი გამოდიოდნენ მათ წინააღმდეგ.

მოვიგონოთ კედია, ფაჩულია-მახარაძეები, ვინ იყვნენ ესენი? მაგათი გაცნობაც, მე მგონია, სრულიად საჭიროც არ არის, ესენი არ იყვნენ, რომ ნიკოლოზის მთავრობის დროს ჩვენთან ერთად მაგათაც დევნიდენ? ესენი არ იყვნენ, რომ ციხე-კატორღებში და ზოგს სახრჩობელისაკენაც გვისტუმრებდენ? მაშ, რა საერთო ქონდათ მაგათთან ამ ძველ პალაჩებს? რასაკვირველია, მაგენი როგორც გამოცდილნი და მდევნელნი პოლიტიკურებისა, ამისათვის ეხლაც საჭირო დარჩა მაგათთვის, რომ საუკუნოთ ჩაემარხათ მუშათა მოძრაობა საქართველოში. მაგრამ ყველა მაგათმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა; ოქტომბრის რევოლიუციის გადმოსროლილმა ნაპერწკალმა ცოტა დააგვიანა, მაგრამ მაინც დაანთო ცეცხლი და თავზარი დასცა აქაურ მენშევიკურ მთავრობას და ბურჟუა-სპეკულიანტებს. ესენი მოკვდენ, მარა საჭიროა მათი ერთხელ და სამუდამოთ ჩამარხვა, რომ ამათ არ გაიხარონ...

დღეს ძალა უფლება მუშა მშრომელის ხელშია, მას უნდა გზის ჩვენება, გზის გაკაფვა, მენშევიკების აგიტაცია ჯარში და ხალხში ეს იყო, რომ „ჩვენ ვართ ნამდვილი სოციალისტები, ჩვენც სოციალიზმი გვინდა, მხოლოდ ჯერ კი ნაადრევიაო, ბოლშევიკებს უნდათ გაძარცვონ, გაანადგურონ, გაათხრონ ყველაფერიო“ და სხვა.

ამით გამოჰქონდენ თავი. ყველა რწმუნდება, რომ ეს ჭორი და ცილის წამება აღმოჩნდა.

ჩვენ უნდა გავამართლოთ ჩვენი ლოზუნგი. ჩვენ უნდა მივცეთ მუშას ის, რის მიცემაც შეგვიძლია დღეს-დღეობით. პირველათ ჩვენ უნდა მივცეთ მათ პური, საცხოვრებელი ბინა!

ხაიდან უნდა აუშენოთ მათ საცხოვრებელი ბინა? იმ სახლებში, რომელიც ბურჟუა-სპეკულიანტებმა მუშის ოფლით აიშენეს და სადაც [illegible] ხანს ისინი დასრიალობდნენ, დღეს მუშამაც იგემოს ცხოვრება. ამისათვის საჭიროა, რომ [illegible] ის ბურჟუა-სპეკულიანტები მუშების ბინაზე, და [illegible] ჩავასახლოთ. [illegible] ნესტიან ბინებში ცხოვრება. [illegible] საჭიროა სურსათ-სანოვაგის შეძლების დაგვარათ მიწოდება, და როდესაც ასეთ ნაბიჯს გადავდგამთ, მაშინ თვით დარწმუნდებიან, რომ ჩვენ არა ვართ სიტყვით მარტო, არამედ საქმითაც ხალხისთვის მებრძოლნი.

სერგო მეგრელიშვილი.

პარტიული ცხოვრება

წინადადება მიეცეს ტ. კ. მილიციას სასწრაფო ზომები საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოწინააღმდეგეთა დაუყოვნებლივ განიარაღებისათვის იმის გამო, რომ ისინი ემუქრებიან სახელმწიფო არსებას და მშვიდობიან მუშაობას.

კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს ქალ. თბილისის მუშა-გლეხთა მილიციის გაწმენდა, მიმართა კომპარტიის თბილისის კომიტეტს და პარტიულ ყველა ამხანაგებს თხოვნით შეაგროვონ და წარმოუდგინონ კომისიას ცნობები არა სასურველ ელემენტების შესახებ, რომელნიც შევიდნენ მილიციაში: ყველა ლაჩართა, ვინც აშკარათ მიეკედლა საბჭოთა ხელისუფლებას, მომხრეთა ძველ მენშევიკურ მთავრობისა, ვინც დასჯილი ყოფილა სისხლის სასამართლოს მიერ, თავისუფალ არმიის მოხალისე ყოფილ ოფიცერთა და აგრეთვე იმ პირთა, ვინც თავისი საქციელით არღვევს ხელისუფლების ავტორიტეტს მცხოვრებთა და განსაკუთრებით მუშა და გლეხთა თვალში. 29 მარტს მე-2 რაიონის სხდომაზე მოისმინა მოხსენება ამხ. ქავთარაძისა განიარაღების შესახებ. მენშევიკურ პარტიის აქტიურ წევრთა და ყოფილ სახალხო გვარდიელთა.

— ხუთშაბათს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია კომიაჩეიკის წევრების მასწავლებელთა საერთო კრება ადერბეიჯანის მისიის შენობაში, განოვის ქუჩაზე.

მუშათა ცხოვრება

საავადმყოფო კასები.

ჩვენში, საბჭოთა წითელ საქართველოში, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ისეთ მუშათა დამზღვევ კანონთან გვაქვს საქმე, რომელიც იყო გამოცემული ნიკოლოზ მეორის მეფობის დროს 1912 წელს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში პირველი რევოლიუციის დროს დროებითი მთავრობის უმნიშვნელო ცვლილებებს ამ კანონში, რომელიც ოდნავათაც არ აუმჯობესებდა მუშათა დაზღვევის საქმეს და დღევანდლამდის წყევლა-კრულვით იხსენიებოდა საქართველოს მუშათა კლასის მიერ, დღეს, საბჭოთა რეჟიმის დროს, როდესაც გამარჯვებული პროლეტარიატის დროშა ფრიალებს მთელ საქართველოში, არავისათვის არაფერს საჭიროებას არ წარმოადგენს მტკიცება, რომ მუშათა დაზღვევის კანონი საავათმყოფო კასების სახით უნდა დავმარხოთ და მივცეთ სამუდამო დავიწყებას.

თქმა არ უნდა, ყველაფრის გაკეთება—აშენება ერთბაშათ და ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ, კომუნისტებმა აქაც, როგორც ყველაფერში, უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი სიძლიერე და უნარი. სანამ კანონით ჩამოყალიბდებოდეს სრული და ნამდვილი დაზღვევა ყველა სახით საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით, როგორც ეს არის განხორციელებული საბჭოთა რუსეთში, მანამ საჭიროა ერთნაირი დროებითი კანონების გამოცემა, რაც ცოტად თუ ბევრათ გააუმჯობესებს მუშების მწვავე მდგომარეობას ავადმყოფობის დროს, დღესვე როდესაც წამლობის ფასი საარაკოთ არის გაძვირებული.

ამ მხრივ-კი საჭიროა არსებულ თბილისის საერთო საქალაქო საავათმყოფო კასის მმართველობაში კომუნისტური სულის ჩაბერვა—იქნება ეს ახალი გამგეობის არჩევის სახით თუ ზევიდგან ინსტრუქტორის დანიშვნით. ჩემის აზრით უკანასკნელი საშუალება უფრო მიზანშეწონილი იქნება, რადგანაც მალე სულ ერთიან მთლად უნდა მოიშალოს არსებული დაზღვევის სქემა და ამისათვის ახალი არჩევნები ტყუილა დროს დაკარგვა იქნებოდა.

ძველი კანონით მუშებიც იხდიდნენ საწევრო გადასახადს. ეს ეხლა გაუქმებულია, მაგრამ არ არის გაუქმებული ის სიმახინჯეც, რომ მუშები ორ კატეგორიათ იყვნენ დაყოფილნი: სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი და კერძონი. პირველნი დღესაც არ არიან დაზღვეულნი და აი, მე მგონია, რომ არ უნდა დავაყოვნოთ და უნდა გამოვცეთ ისეთი კანონი, რომლის ძალითაც როგორც ერთნი აგრეთვე მეორენიც, იქნებიან დაზღვეულნი.

აგრეთვე საჭიროა რომ მუშა ღებულობდეს არა მარტო დახმარებას ავადმყოფობის დროს, არამედ წამლობის ხარჯიც კასამ უნდა იკისროს. ახლა კი ავადმყოფი მხოლოდ ავადმყოფობის დროს განაცდენს ღებულობს და წამლობა ხაზინებს ეკისრებათ, მაგრამ სად არიან დღეს ხაზინები? ისინი ან [illegible] თავის თავად გაქრენ ან წარმოება სახელმწიფოს ხელში გადავიდა და ამჟამად ფაქტიური ხაზინა დღეს სახელ-[illegible]. მაშასადამე სახელმწიფოს [illegible] მაინც არ ასცდება და რომ [illegible] ვის ცალკე საავადმყოფო კასებთან პარალელურად არ შევქმნათ კიდევ ახალი აპარატები, ორგანიზაციები წამლობისათვის და ძალები არ დავქსაქსოთ, ჩემის აზრით მიზანშეწონილი იქნება, რომ დღევანდელი საავადმყოფო კასის ორგანიზაცია გამოვიყენოთ. ესე იგი, რომ საავადმყოფო კასას დაეკისროს როგორც ავადმყოფობის დროს მატერიალური დახმარება, ისე წამლობაც. ამისათვის საჭირო იქნება დახმარება ხაზინიდან და აგრეთვე აუცილებელია შრომის კომისარიატიდან ინსტრუქტორის დანიშვნა, რის შემწეობითაც აქედანვე ჩაეყრება საძირკველი ახალი, კომუნალური წესწყობილების შესაფერ დამზღვევ კანონს.

სანდრო იაშვილი.

მ უ შ ა

როცა ზურგით ჰვირთს წაიღებს
კურტნის მუშა დურმიშხანა
და შრომის ფულს რომ აიღებს,
ასე მღერის ხან და ხანა:
„კურტნის მუშა ვარ ქალაქში,
ღმერთმა მომცა წელში ღონე;
ჩემ ტოლ ბიჭებ გლეხ-კაცებში
მეც კაცი ვარ თავმომწონე.
მუშა რომ ვარ—მწუნობთ რაზე?
არ ვარ სხვების მუცელპურა;
ტვირთი დამაქვს დიდს მანძილზე
მანეთათ, ხან ათ შაურათ.
გაკოტრების არ მაქვს შიში,
როგორც ცრუ ვაჭრის დუქანსა;
ღმერთმა მომცა ძალა მუხლში
და დალოცვა ჩემს კურტანსა.
მდიდარი სულ დარდით ქშინავს
ქანც გაწყვეტილ ილაჯითა,—
მე კი ქოხში ტკბილათ მძინავს
ჩემის ძველი ფარაჯითა.
მამა ჩემიც ჰვირთსა ზიდდა,
არც თუ მას ჰქონდა დუქანი;
როცა სიცოცხლე მოსწყინდა,
მიანდერძა თვის კურტანი.
და თან მტკიცედ საფლავიდან
ეს სიტყვები ამომძახა,—
მიმავალმა ამ ქვეყნიდან
ალსარებად მიკარნახა:
„ზიზღი მუშათ ოფლის მყვლეფავს,
იმ ბურჟუებს, იმ პირქუშებს;
გაუმარჯოს ქვეყნის მშრომელს,—
პროლეტარებს, ყველა მუშებს!“.

ჩარხიშვილი გიორგი.

პროვინციის ცხოვრება

1921 წელსა მარტის 27 მოხდა ლეღვან-მარელისის საზოგადოების რევკომის წევრების და თბილისის ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებულის ბენია მიხეილის ძის მაღრაძის ხელმძღვანელობით მრავალრიცხოვანი კრება, სადგურ მარელისის მახლობლად. კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებულის სიტყვები, და შეუდგა რევოლიუციონურ კომიტეტის წევრების არჩევას. წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: საველ გიორგის ძე შარიქაძე, ტერენტი მაღრაძე. ალექსანდრე ასლანის ძე მაღრაძე და შალვა სარდანის ძე მაღრაძე. არჩევნების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ლეღვან მარელისის საზოგადოება უძღვნის სალამს საქართველოს კომუნისტურ მთავრობას, რომელიც არის ერთად-ერთი მუშების და გლეხების დამცველი. გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ მთავრობას! გაუმარჯოს მის მომხრე და თანამგრძნობ ხალხს!

კრების თავმჯდომარე ალექსანდრე მაღრაძე.

— —

1921 წ. მარტის 30-ს მოხდა **მოლითის საზოგადოების** რევკომის წევრების და თფილისის ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებულის ბენია მიხეილის ძის მაღრაძის ხელმძღვანელობით მრავალრიცხოვანი კრება სადგურ მოლითის მახლობლად. კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებულის სიტყვები, და შეუდგა კანონიერ რევოლიუციონურ კომიტეტის წევრების არჩევას: წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: პარმენ ჭყოიძე, სპირდონ მჭედლიძე, გიორგი ტალახაძე, მიხაკო ცუცქირიძე, და ვანო ლამბაშიძე. არჩევნების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოლითის საზოგადოება უძღვნის სალამს და მხარს უჭერს საქართველოს კომუნისტურ მთავრობას, რომელიც არის ერთად ერთი მხსნელი მუშების და გლეხებისა გაუმაძღარ და მუქთა-ხორა ბურჟუაზიის მონობისაგან. გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ მთავრობას! გაუმარჯოს მუშათა სოლიდარობას!

კრების თავმჯდომარე **ი. მხატრიშვილი**

წერილი რედ. მიმართ *)

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ წერილს თქვენ გაზეთში.

„სოციალისტ-ფედერალისტის“ მე-9 №-ში მოთავსებული იყო ბ-ნ ალექსანდრე წერეთლის წერილი, რომელშიაც აცხადებდა „ვილაც ბნელი და უსაქმური პირები მასზე ცრუ ხმებს ავრცელებენ თითქოს ის საბჭოთა ჯარის მოახლოვების წინა დღეებში პოლიტიკურ ჯაშუშობას ეწეოდა, რწმუნებულ მისდამი სასწავლებელში“. ამით ვაცხადებ, რომ ბატ. ალექსანდრე წერეთელი 20 თებერვალს ჭეშმარიტად ეწეოდა პოლიტიკურ ჯაშუშობას [illegible] რწმუნებულ სასწავლებელში. [illegible] დროს, როგორც კომუნისტკა ერთ-ერთ მასწავლებლის ბინაზე ვიმალებოდი და საიდანაც ბატ. ალექსანდრე წერეთლის წყალობით სხვა ბინაზე დამჭირდა გადასვლა.

ზემოხსენებულ პირს ვუწოდებდი და ვუწოდებ პოლიტიკურ არა სინდისიერს, რადგანაც საქართველოს საბჭოთა მთავრობის გამოცხადებისთანავე, ის [illegible]ქმის სათავეში მოექცა, მიუხედავათ იმისა, რომ ის ოთხი ხუთი დღის წინ ჩხრეკდა მასწავლებელთა ბინებს, სადაც ეძებდა დამალულ კომუნისტებს. ვაწერ რა ხელს ამ წერილს, ამით ვაძლევ საშუალებას ბატ. წერეთელს მიმცეს პასუხისგებაში, სადაც შემიძლია ყველა ჩემი ნათქვამი დავასაბუთო. რაც შეეხება გაზეთის საშუალებით პოლემიკის გამართვას, მე უარს ვაცხადებ.

ბარბარე ჯაფარიძე.

---

*) ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ამხ. ბ. ჯაფარიძის წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა ერთი კვირით.

რედ.

ფოსტა

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში. მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია.

იოსებ იმედაშვილის

ბავშვი გაიოზი, 13—14 წ., მარტის მიწურულს ბათომისკენ წავიდა მამის საძებნელად. მშობლები სთხოვენ ყველას თუ ეს ბავშვი შეხვდეთ ვისმეს, თბილისში დააბრუნონ, რადგან მამა მისი უკვე თბილისშია. ბავშვს თან ახლავს ამხანაგი იმავე ასაკისა.

თბ. კომ. მეშაბათეების ბიურო სთხოვს:

მე-XI ლაშქრის პოლიტიკურ განყოფილებას, პროფესიონალურ საბჭოს, შრომის კომისარიატს, სასურსათო საბჭოს, კომუნისტურ პარტიის 1, 2, 3, 4 და 5 სარაიონო ორგანიზაციებს, თბილისის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს, ქალთა განყოფილებას, არსენალის უფროსს, რკინის გზის დეპოს ქარხნების უფროსს, ტრამვაის დეპოს უფროსს, თბილისის წყალსადენის გამგეს და გრუსტას, გამოგზავნონ პასუხისმგებელი ამხანაგები 7 აპრილს, საღამოს 5 საათზე, შაბათობის შესახებ სხდომაზე, რომელიც შესდგება კომუნალურ მეურნეობის შენობაში (ყოფ. ქალ[illegible] მართველობაში), მდივნის ოთახში. აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების დასწრება აუცილებელია.

თ. კ. მდივანი: ი. მგელაძე.

თბილისის რევოლიუციონური კომიტეტის კ[illegible]უნალური განყოფილება

სთხოვს თბილისში არსებულ ყველა დაწესებულებებს საჩქაროთ მიაწოდონ მათი მისამართები ტელეფონების №№-ის აღნიშვნით.

მისამართი: თავისუფლების მოედანი—ყოფილი ქალაქის თვითმართველობის შენობა.

კომუნალური განყოფილება.

ს. ს. ს. რ. სააქციზო სამმართველო ა[illegible]

რომ თამბაქოს ფაბრიკას „შვიდი მნათობი“-სას დაუკარგავს თბილისის სახელმწი ხაზინიდან თამბაქოს ბანდეროლების გამოტანის ნებართვის მოწმობა № 14 21 იანვრიდან 1921 წლის, ეს მოწმობა ამიერიდან ითვლება გაუქმებულათ.

მომღერალ ქალ-ვაჟთა მოწვევა

სრულიად საქართველოს ეროვნული გუნდი იწვევს მომღერალ ქალ-ვაჟთ თავის შემადგენლობის გასაძლიერებლად. მსურველთა გამოცდა მოხდება აპრილის 7, და 9 რიცხვებში დილის 9 საათიდან 11 საათამდის და საღამოს 5—7-დის, გუნდის ხელმძღვანელის კ. ფოცხვერაშვილის ბინაზე. (კლასიკური და როზენის ქუჩ კუთხე). ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა.

სახალხო მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდი.

ქართულ სამუსიკო სკოლაში (პეტრე დიდის ქ., № 8) დაარსდა დიდი ქართულ სახალხო მომღერალ-მგალობელ ქალ-ვაჟთა გუნდი ლოტბარ ალ. მაისურაძ ხელმძღვანელობით. გუნდში ჩაწერა შეუძლიანთ ბავშვებსაც. სწავლა უფას ჩაწერა და მეცადინეობა სწარმოებს ყოველ სამშაბათ-პარასკეობით საღ. 5—7 ს.-მდ

ორგანიზაციების და დაწესებულებების საყურადღებო

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტ-“ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშებ უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღებ

გაზ. „კომუნისტი“-ს

მიღება შეიძლება გრუსტას ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. №11.)